

აღზრდის სტილის კავშირი აკადემიურ მოსწრებასთან

თამარ წითური

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, განათლების ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

ხელმძღვანელი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი ნინო
სხირტლაძე

თბილისი

2019

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანია, დაადგინოს, არსებობს თუ არა კავშირი აღზრდის სტილებსა (ავტორიტარული, ავტორიტეტული და ლიბერალური) და აკადემიურ მოსწრებას შორის. თეორია და კვლევები ადასტურებს კავშირს ამ ორ ცვლადს შორის. კვლევაში აღზრდის განზომილებების განსასაზღვრად გამოვიყენეთ აღზრდის განზომილებების და ოჯახის ფუნქციონირების კითხვარი (Bloom, 1985). აკადემიური მოსწრების განსაზღვრა მოხდა მოსწავლის საშუალო ქულით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა მოსწაღემ (50 %-ბიჭი). კვლევის შედეგად გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი აღზრდის ავტორიტარულ სტილსა და აკადემიურ მოსწრებას შორის, ხოლო ავტორიტეტული და ლიბერალური სტილების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აკადემიურ მოსწრებასთან არ გამოვლინდა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ტრადიციულ ქვეყნებში ბავშვებთან აღზრდის მიდგომა გენდერზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს. ჩვენი კვლევის შედეგებით გენდერული განსხვავებულობის კავშირი აღზრდის სტილთან არ გამოვლინდა, თუმცა აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აკადემიურ მოსწრებაში - გოგონებს ბიჭებზე უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ.